სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №04-37/1

ქ. თბილისი **19 აპრილი, 2019 წ.**

შემსყიდველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანის** სახით.
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2200220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22;
ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202051224

მიმწოდებელი: შპს „ბიბლუსი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ირაკლი გაგნიძის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, იოსებიძის ქ. N49
საბანკო რეკვიზიტები: სს. „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/N GE49TB7796536020100001
საიდენტიფიკაციო კოდი 205254892

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, 16.04.2019წ. №438760 სამსახურებრივი ბარათის და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს¹" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ პალიატიური მზრუნველობის საჭიროების მქონე 55 ბავშვისათვის (ბავშვთა ჰოსპის „ციცინათელების ქვეყანა“-ში მყოფი ბავშვებისათვის) საჩუქრად გადასაცემი წიგნების (CPV:22100000) შესყიდვა, რომლის რაოდენობა, აღწერილობა და ფასი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ ცხრილში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **1075.40 (ერთი ათას სამოცდათხუთმეტი ლარი და 40 თეთრი)** ლარს.

შემსყიდველი მიმწოდებელი

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
4.5 დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინიტროს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი („განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (პროგრამული კოდი 320101).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 პუნქტის 8.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.
5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის პროტოკოლის სამმართველოს უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი ნანა კვარაცხელია და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ან შესაბამისად უფლებამოსილი პირი

6. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **3 (სამი)** სამუშაო დღის ვადაში.
6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, იოსებიძის ქ. N49.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
7.1.1. შემსყიდველს მოაწოდოს ხელშეკრულებაში მითითებული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. იგი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე;
7.1.2 დეფექტიანი ან ნაკლოვანი საქონლის ჩანაცვლებისას შემსყიდველს მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის საქონელი.
7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:
8.1.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და ადასტურებს შესაბამისი დასკვნით.
8.2 ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს პროტოკოლის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კევლიშვილი.

შემსყიდველი	მიმწოდებელი

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი (ნაწილობრივ) შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით ან/და არაჯეროვნად შეასრულებს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ მუხლის 9.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობები.

9.5 მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.6 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) შეტყობინებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

შემსყიდველი	მიმწოდებელი

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე

14.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

15. ზოგადი დებულებები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

შემსყიდველი	მიმწოდებელი

დანართი №1

#	წიგნების დასახელება	რაოდენობა		ფასი
1	3D ზღაპრები პრინცესებზე	1	ცალი	15.99
2	აღმოაჩინე-ცხოველები	1	ცალი	19.90
3	გზამკვლევი ცოდნის სამყაროში -ცხოველები	1	ცალი	19.92
4	პირველი ენციკლოპედია მოსწავლისათვის	1	ცალი	29.90
5	ჩემი საყვარელი ლექსები	1	ცალი	20.00
6	ჩემი საყვარელი ზღაპრები ვარდისფერი	1	ცალი	22.95
7	პატარა პრინცი	1	ცალი	19.95
8	საბავშვო ენციკლოპედია სულაკაური	1	ცალი	15.90
9	ოქროს კოლექცია -ჰანს კრისტიან ანდერსენი ზღაპრები	1	ცალი	17.99
10	სერია დისნეი ჯუნიორი-ხუთწუთიანი ზღაპრები	1	ცალი	16.09
11	ოქროს კოლექცია - ჩემი საყვარელი კლასიკური ზღაპრები	1	ცალი	17.99
12	გოდერძი ჩოხელის მოთხრობები	1	ცალი	16.95
13	სულხან-საბას იგავები ყველაზე პატარებისთვის - ლოგოსპრესი	1	ცალი	13.93
14	ყველაზე პირველი ენციკლოპედია	1	ცალი	24.90
15	ენოტის რემონტი.	1	ცალი	16.95
16	საუკეთესო 365 ზღაპარი	1	ცალი	23.00
17	მითები და ლეგენდები შინდისფერი	1	ცალი	15.90
18	ზღაპარი სცენაზე - მძინარე მზეთუნახავი	1	ცალი	17.00
19	ბავშვის ინტელექტუალური განვითარება	1	ცალი	17.95
20	დისნეი ანიმაციური კოლექცია - მანქანები	1	ცალი	7.16
21	ირინეს ზღაპრები	1	ცალი	16.95
22	ძილისპირულის ზღაპრები ლურჯი	1	ცალი	15.90
23	3 განზომილებიანი კომბლე	1	ცალი	16.09
24	ტოპო-ტიპი შიშს ამარცხებს	1	ცალი	12.90
25	რაპუნცელი ხმოვანი	1	ცალი	23.99
26	ფიფქია და შვიდი ჯუჯა ხმოვანი	1	ცალი	23.99
27	50 პრინცესის ზღაპარი	1	ცალი	22.95
28	რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები (ხურცილავა)	1	ცალი	24.95
29	ჩემი საყვარელი ზღაპრები-წითელქუდა და სხვა გმირები	1	ცალი	18.36
30	ჩემი საყვარელი ზღაპრები-ბრემენელი მუსიკოსები და სხვა გმირები	1	ცალი	22.95
31	ჩემი საყვარელი ზღაპრები-ბურატინოს და სხვა გმირები	1	ცალი	22.95
32	ნოდარ დუმბაძე - საბავშვო ლექსები იასამნისფერი	1	ცალი	19.90
33	სიბრძნე სიცრუისა	1	ცალი	19.90
34	3 განზომილებიანი რწყილი და ჭიანჭველა	1	ცალი	22.99
35	მზეო დაბრუნდი, დაბრუნდი (დიდი)	1	ცალი	14.10
36	ცხოველები და მათი შვილები (დისკით)	1	ცალი	36.00
37	ანდერსენის ზღაპრები ბალიშა	1	ცალი	15.99
38	ქართული საბავშვო მოთხრობები ლექსები იგავ-არაკები შინდისფერი	1	ცალი	29.95
39	ძმები გრიმები - ზღაპრები	1	ცალი	22.95
40	ილუსტრირებული ზღაპრები ბავშვებისთვის- ჰანს ქრისტიან ანდერსენი	1	ცალი	16.72
41	ეზოპეს 200 იგავი	1	ცალი	22.95
42	კლასიკური ზღაპრები-ყველა ბიჭის საყვარელი ზღაპრები და სათავგადასავლო ამბები(ყუთში)	1	ცალი	15.99
43	ჩემი პირველი მოთხრობები -ი.გოგებაშვილის დედაენიდან	1	ცალი	14.90
44	საბავშვო ლექსები - გივი ჭიჭინაძე (პატარა)	1	ცალი	14.90
45	გ.დოჩანაშვილი მოთხრობები წიგნი 4 იქამდე,ლუბავ ჩემო სიყვარულო და სხვა მოთხრობები	1	ცალი	20.93
46	გ.დოჩანაშვილი მოთხრობები წიგნი 3 დედინაცვალი,ჩვეული ბედნიერებანი და სხვა მოთხრობები	1	ცალი	20.93
47	გ.დოჩანაშვილი მოთხრობები წიგნი 2. შილდელი მევენახე და სხვა მოთხრობები	1	ცალი	20.26
48	გ.დოჩანაშვილი მოთხრობები წიგნი 1.კაცი რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა და სხვა მოთხრობები	1	ცალი	20.26
49	ილუსტრირებული განძის კუნძული	1	ცალი	16.72
50	ილუსტრირებული სკანდინავიური მითები	1	ცალი	20.90
51	ილუსტრირებული ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა	1	ცალი	59.90
52	ააწყვე პაზლი-წიქარა	1	ცალი	8.99
53	ააწყვე პაზლი - თოვლის დედოფალი	1	ცალი	8.99
54	ააწყვე პაზლი - ლიმონათი	1	ცალი	8.99
55	ააწყვე პაზლი - გაზაფხული	1	ცალი	8.99

სულ ჯამი: 1075.40

შემსყიდველი

მინისტრის მოადგილე
ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანი

მიმწოდებელი

დირექტორი
ირაკლი გაგნიძე

LLC Biblusi

Digitally signed by LLC Biblusi
Date: 2019.04.19 17:21:53 +04'00'